თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4017145

ნომერი: AR1606398

თარიღი : 06.06.2018

გაცემის თარიღი : 15.06.2018

გაცნობის თარიღი : 15.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი I და II-ს შორის , (ნაკვეთი N16/46);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ჩხაპელია პ/ნ 62003016208
- თბილისი მ.ალექსიძის ქ. N 1 კორ. 4 ბ. 50

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს ჯეოპიცა კოდი: 404467055

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: შეტყობინებით გამოგზავნილი თქვენივე მოთხოვნის თანახმად წინამდებარე განცხადება გიბრუნდებათ ხარვეზების გამოსასწორებლად და იხელმძღვანელეთ AR1606398 განცხადებაზე №4010680 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზებით, რაც თქვენი მხრიდან არ არის გამოსწორებული, კერძოდ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ:

1. „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად, დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე. ასევე კონტურის სახით მონიშნეთ სარეკონსტრუქციო ფართი შესაბამისი გაბარიტული ზომებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

2. მეტი თვალსაჩინოებისათვის ატვირთეთ საკადასტრო გეგმა ორივე საპროექტო სარეკლამო აბრის განთავსების ადგილის მონიშვნით.

3. განიმარტოს ვინ არის დაინტერესებული საპროექტო სამუშაოებით. თუ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია შპს „ჯეოპიცა" საჭიროა სარგებლობის საფუძველი რეგისტრირებულ იქნეს რეესტრში და წარმოდგენილ იქნეს რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის საფუძველი ან მესაკუთრის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ განსახორციელებელი სამუშაოებით ეხებით შპს „ფუდ პოინტის" სარგებლობაში არსებულ ფართს წარმოდგენილ იქნეს მისი თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. ასევე შესაძლებელია, რომ დარეგისტრირდეს უფლებამოსილი პირი თანაგანმცხადებლად. იმ შემთხვევაში თუ არ ეხებით მის სარგებლობაში არსებულ ფართს განმარტეთ აღნიშნულის თაობაზე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge